ტესტი ისტორიაში

I ვარიანტი

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ყურადღებით გაეცანით ტესტის ყოველი დავალების ინსტრუქციას, კარგად გაიაზრეთ თითოეული დავალების მოთხოვნა და შემდეგ დაიწყეთ მუშაობა.

ტესტის მაქსიმალური ქულაა 60.

ტესტზე სამუშაოდ გეძლევათ 2 საათი და 40 წუთი.

გისურვებთ წარმატებას!

ინსტრუქცია დავალებებისათვის № 1-35.

თითოეულ კითხვაზე მოცემულია ოთხი სავარაუდო პასუხი. მათგან მხოლოდ ერთია სწორი. თქვენ მიერ არჩეული პასუხის მონიშვნის ერთადერთი გზა პასუხების ფურცელზე სათანადო უჯრაში X ნიშნის დასმაა. არც ერთი სხვა აღნიშვნა, ჰორიზონტალური თუ ვერტიკალური ხაზები, შემოხაზვა და ა.შ. ელექტრონული პროგრამის მიერ არ აღიქმება. თუ გსურთ პასუხების ფურცელზე მონიშნული პასუხის გადასწორება, მთლიანად გააფერადეთ უჯრა, რომელშიც დასვით X ნიშანი და შემდეგ მონიშნეთ პასუხის ახალი ვარიანტი (დასვით X ნიშანი ახალ უჯრაში). შეუძლებელია, ხელმეორედ აირჩიოთ ის პასუხი, რომელიც გადაასწორეთ. თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.

(1) 1. რომელი ინფორმაციაა მართებული შუმერების შესახებ?

ა) მოჭრეს პირველი მონეტა;

ბ) დაიწყეს მიცვალებულთა მუმიფიცირება;

გ) ჩამოაყალიბეს მონოთეისტური რელიგია;

დ) შექმნეს ერთ-ერთი უძველესი დამწერლობა.

(1) 2. რომელი ინფორმაციაა მართებული ძვ. წ. XIII-XII საუკუნეების ეგვიპტის შესახებ?

ა) მოიგერია ელამელების თავდასხმები;

ბ) დასუსტდა ზღვის ხალხების შემოსევების შედეგად;

გ) დაიპყრო გუთიების სამეფო;

დ) გაანადგურა სამხრეთის მომთაბარე ტომები.

(1) 3. მცირე აზიაში მდებარე რომელი სახელმწიფო დაიპყრო კიროს II დიდმა?

ა) ბაქტრია;

ბ) ლიდია;

გ) ნუბია;

დ) ურარტუ.

(1) **4. რას ეწოდებოდა ეკლესია ძველ ათენში?**

ა) სახალხო კრებას;

ბ) ქურუმთა სასამართლოს;

გ) სტრატეგოსთა საბჭოს;

დ) მოსამართლეთა კოლეგიას.

(1) **5. რომელი ინფორმაციაა მართებული რესპუბლიკის პერიოდის რომაული საზოგადოების შესახებ?**

ა) პლებეები დიდხანს იბრძოდნენ პატრიციებთან უფლებრივი თანასწორობისთვის;

ბ) ჰილოტებმა ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ მოიპოვეს მიწაზე საკუთრების უფლება;

გ) მეტეკებსა და ევპატრიდებს შორის დაპირისპირება სამოქალაქო ომში გადაიზარდა;

დ) პერიეკები ცდილობდნენ არჩევნებში მონაწილეობის უფლების მოპოვებას.

(1) **6. სხვა მიზეზებთან ერთად, რა იყო ევროპაში ხალხთა დიდი გადასახლების დაწყების ერთ-ერთი წინაპირობა?**

ა) მომთაბარე ჰუნების მიგრაცია;

ბ) კელტების მუდმივი თავდასხმები;

გ) ხაზარების მარბიელი ლაშქრობები;

დ) ნორმანების პერიოდული შემოსევები.

(1) 7. რომელი მსჯელობაა მართებული იუსტინიანე I დიდის რელიგიური პოლიტიკის შესახებ?

ა) თავად არ ერეოდა სარწმუნოებრივ საკითხებში და იერუსალიმის პატრიარქს დაავალა სადავო საკითხის გადაწყვეტა;

ბ) მისი ბრძანებით დაიწყო დიოფიზიტების დევნა, რასაც წინ აღუდგა კონსტანტინოპოლის პატრიარქი;

გ) იზიარებდა მონოფიზიტების მრწამსს და IV საეკლესიო კრება აიძულა მიეღო სათანადო დადგენილება;

დ) ცდილობდა მონოფიზიტებსა და დიოფიზიტებს შორის არსებული სარწმუნოებრივი დაპირისპირების მოგვარებას.

(1) **8. რას ეწოდებოდა ალოდი ფრანკთა სამეფოში?**

ა) საეკლესიო ბეგარას;

ბ) იჯარით აღებულ მიწის ნაკვეთს;

გ) თავისუფალ მეთემეზე დაკისრებულ გადასახადს;

დ) სამუდამო მფლობელობაში გადაცემულ მიწას.

(1) 9. რა საკითხს აწესრიგებდა „დაცვის სიგელი“?

ა) თავისუფალი ვაჭრობის;

ბ) ხარკის გადახდის;

გ) ტერიტორიული მოწყობის;

დ) ფეოდალური მემკვიდრეობის.

(1) 10. რატომ უწოდეს VII-VIII საუკუნეებში მოღვაწე მეროვინგებს „ზარმაცი მეფეები“?

ა) ყველაფერს სამეფოს პირველი კანცლერი განაგებდა;

ბ) სახელმწიფოს ფაქტობრივად უმაღლესი პრიმასი მართავდა;

გ) რეალური ძალაუფლება მაიორდომს ჰქონდა;

დ) შეუზღუდავი გახდა კარდინალის ძალაუფლება.

(1) **11. რა საკითხს შეეხებოდა 843 წლის ვერდენის ხელშეკრულება?**

ა) ერთიანი სახელმწიფოს ოფიციალურად სამ ნაწილად დაშლას;

ბ) გერმანული სამთავროების გაერთიანებას;

გ) ჩრდილოეთ ევროპის ქალაქების სავაჭრო კავშირის შექმნას;

დ) ანგლო-საქსურ სამეფოებს შორის ხანგრძლივი მშვიდობის დამყარებას.

(1) 12. სად მდებარეობდა X საუკუნეში ნორმანდიის საჰერცოგო?

ა) ისლანდიაში;

ბ) იუტლანდის ნახევარკუნძულზე;

გ) სამხრეთ ინგლისში;

დ) ჩრდილოეთ საფრანგეთში.

(1) **13. რა მოიმოქმედა იმპერატორმა ჰაინრიხ IV-მ რომის პაპ გრიგოლ VII-სთან კონფლიქტის დაწყებისთანავე?**

ა) საეკლესიო კრება მოიწვია და თავი გერმანიის ეკლესიის მეთაურად აღიარებინა;

ბ) რომზე ილაშქრა, ქალაქი აიღო, პაპი დაატყვევა და დედაქალაქ აახენში გადაიყვანა;

გ) იმპერიის ეკლესია უშუალოდ კონსტანტინოპოლის პატრიარქს დაუქვემდებარა;

დ) მომხრე სასულიერო პირებთან ერთად რომის პაპი გადაყენებულად გამოაცხადა.

(1) **14. რომელი მსჯელობაა მართებული XI საუკუნეში დაწყებული ჯვაროსნული ლაშქრობების შესახებ?**

ა) მნიშვნელოვნად გაიზარდა ამქრების როლი. მათ დაევალათ ფეოდალთა რაზმების შეკრება და აღმოსავლეთში ლაშქრობისთვის მატერიალურად და სულიერად მომზადება;

ბ) საბოლოოდ გაირკვა რეფორმაციასთან დაკავშირებული საკითხები. ამის გარეშე შეუძლებელი იყო აღმოსავლეთში გასაგზავნად დიდი რაოდენობით მებრძოლებისა და სასულიერო პირების შეკრება;

გ) გადაწყდა გაღარიბებული რაინდების პრობლემა. მათ მიეცათ სამხედრო მოქმედების ახალი ასპარეზი და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების შესაძლებლობა;

დ) შემცირდა ევროპის ქალაქების, როგორც სავაჭრო ცენტრების როლი. აღმოსავლეთში დაწყებულმა სამხედრო მოქმედებებმა შეაფერხა და ცალკეულ შემთხვევებში სრულად შეაჩერა ვაჭრობა.

(1) **15. საქართველოს რომელ მეფეს მიმართეს დახმარებისთვის ჯვაროსნებმა?**

ა) დავით V-ს;

ბ) ბაგრატ III-ს;

გ) დემეტრე II-ს;

დ) გიორგი IV-ს.

(1) **16. რომელი მმართველის დროს ილაშქრეს მონღოლებმა პირველად საქართველოში?**

ა) ბათო ყაენის;

ბ) ჩინგიზ ყაენის;

გ) უგედეის;

დ) ჰულაგუს.

(1) **17. ვინ იყვნენ პაჟები შუა საუკუნეების ევროპაში?**

ა) გამოცდილი მებრძოლები, რომლებსაც მეფე საგანგებო სტატუსს ანიჭებდა;

ბ) სასულიერო პირები, რომლებიც ტახტის მემკვიდრის ამალაში შედიოდნენ;

გ) ყველაზე მდიდარი ვაჭრები, რომლებიც ქალაქებს მართავდნენ;

დ) ახალგაზრდები, რომლებიც შემდგომში რაინდები უნდა გამხდარიყვნენ.

(1) **18. ვის სახელს უკავშირდება პროტესტანტული მოძრაობის წამოწყება გერმანულ მიწებზე XVI საუკუნეში?**

ა) იოჰან ტეცელის;

ბ) მარტინ ლუთერის;

გ) იოჰან გუტენბერგის;

დ) იან ჰუსის.

(1) 19. საფრანგეთის რომელმა მეფემ გამოსცა ნანტის ედიქტი?

ა) ანრი IV-მ;

ბ) ლუი XI-მ;

გ) შარლ IX-მ;

დ) ფრანსუა I-მა.

(1) 20. რას უწოდებდნენ საფრანგეთში ჟან კალვინის მიმდევრებს რელიგიური ომების პერიოდში?

ა) ჰუსიტებს;

ბ) ანაბაპტისტებს;

გ) ჰუგენოტებს;

დ) იეზუიტებს.

(1) **21. რომელი მსჯელობაა მართებული საქართველოში განვითარებული მოვლენების შესახებ?**

ა) XVII საუკუნის შუა ხანებში ირანმა და ოსმალეთმა ხელახლა გაინაწილეს საქართველო, რასაც თბილისის საფაშოს შექმნა მოჰყვა;

ბ) XVI საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში ირანსა და ოსმალეთს შორის მიმდინარე ომის შედეგად მთელი საქართველო ოსმალთა გავლენის სფეროში მოექცა;

გ) XV საუკუნის დასაწყისში იმერეთის მეფემ ისარგებლა ქართლში დაწყებული შიდა არეულობით, დაიკავა თბილისი და აღადგინა საქართველოს ერთიანობა;

დ) XIV საუკუნის მეორე ნახევარში სამცხის მთავრებმა საბოლოოდ დაამარცხეს ბიზანტიელები და ტაოს რეგიონი სრულად გაათავისუფლეს.

(1) 22. რომელი ფაქტია მართებული XVI საუკუნეში ოსმალთა ფლოტის მეთაურის ჰეირ ედ-დინ (ხაირ ად-დინ) ბარბაროსას შესახებ?

ა) შეუტია ფრანგთა ნავსადგურებს ამერიკულ კოლონიებში;

ბ) ხელმძღვანელობდა კონსტანტინოპოლის ბლოკადას ზღვიდან;

გ) თავს ესხმოდა იტალიის სანაპირო ქალაქებს;

დ) დაიპყრო კუნძულები მალტა და კრეტა.

(1) **23. რა მიზანს *<u>არ ისახავდა</u>* შაჰ-აბას I კახეთის სამეფოში ლაშქრობებისას?**

ა) სამეფოს გაუქმებას;

ბ) მოსახლეობის მასიურ გადასახლებას;

გ) ციხესიმაგრეებიდან ოსმალების განდევნას;

დ) უცხო ტომელების ჩამოსახლებას.

(1) **24. რომელი პროტესტანტული სახელმწიფო ჩაერთო ოცდაათწლიან ომში, თუმცა წარმატებას ვერ მიაღწია?**

ა) დანიის სამეფო;

ბ) ვენეციის რესპუბლიკა;

გ) ტოსკანის დიდი საჰერცოგო;

დ) ვლახეთის სამთავრო.

(1) **25. რომელი მსჯელობაა მართებული ინგლისის სამოქალაქო ომის შესახებ?**

ა) პარლამენტის მხარეს ირლანდიელების გადასვლამ და დატყვევებული მეფის პარლამენტის ჯარისთვის გადაცემამ ომის ბედი გადაწყვიტა;

ბ) ომის დაწყებიდან რამდენიმე თვეში მეფის მომხრეთა ჯარი დამარცხდა და გაიფანტა, ხოლო ინგლისის მეფემ თავი საფრანგეთს შეაფარა;

გ) თავდაპირველად ომი მეფის მხარდამჭერთა უპირატესობით მიმდინარეობდა, თუმცა საბოლოოდ პარლამენტის მომხრეებმა გაიმარჯვეს;

დ) ომის საწყის ეტაპზე განცდილი წარუმატებლობის მიუხედავად, მეფის მომხრეებმა მაინც დაამარცხეს პარლამენტის ჯარი და ლონდონი ხანმოკლე ალყის შემდეგ აიღეს.

(1) **26. რომელი ფაქტია მართებული ნაპოლეონ ბონაპარტის შესახებ?**

ა) დაწინაურდა ნიდერლანდებში ესპანელთა წინააღმდეგ ომში;

ბ) ჩაახშო ვანდეაში მეფის მომხრეთა აჯანყება;

გ) თავი გამოიჩინა ტულონის ალყისას საფრანგეთის რესპუბლიკის ჯარის რიგებში;

დ) ლა როშელის ბრძოლაში გამოვლენილი სიმამაცისთვის გენერლობა მიენიჭა.

(1) **27. რა შედეგით დასრულდა 1871 წელს საფრანგეთ-პრუსიის ომი?**

ა) საფრანგეთმა დაკარგა ელზასი და ლოთარინგია;

ბ) საფრანგეთმა სედანის ბრძოლაში გაიმარჯვა;

გ) პრუსიას კონტრიბუციის გადახდა დაეკისრა;

დ) პრუსიამ შეიერთა ფლანდრია და გიენი.

(1) **28. რომელი ქართული სამთავრო გააუქმა რუსეთმა 1867 წელს?**

ა) აფხაზეთის;

ბ) სვანეთის;

გ) სამეგრელოს;

დ) გურიის.

(1) 29. რომელმა სახელმწიფომ გამოიყენა პირველად ტანკი I მსოფლიო ომში?

ა) ინგლისმა;

ბ) გერმანიამ;

გ) ავსტრია-უნგრეთმა;

დ) იტალიამ.

(1) **30. ვინ იყო ლევ ტროცკი?**

ა) რუსეთის კომუნისტური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი;

ბ) რუსეთის დროებითი მთავრობის თავმჯდომარე;

გ) რუსი მხედართმთავარი პირველი მსოფლიო ომის დროს;

დ) რუსი პოლიტიკოსი, რომელიც მხარს უჭერდა კონსტიტუციურ მონარქიას.

(1) 31. რომელი საზავო ხელშეკრულების პირობის საფუძველზე თვლიდა ოსმალეთის იმპერია 1918 წელს, რომ ბათუმი მას ეკუთვნოდა?

ა) მოსკოვის;

ბ) მუდროსის;

გ) ბრესტის;

დ) ყარსის.

(1) **32. რომელი რესპუბლიკის ოკუპაციით დასრულდა კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარება?**

ა) სომხეთის;

ბ) აზერბაიჯანის;

გ) საქართველოს;

დ) მთიელთა.

(1) **33. რომელი ინფორმაციაა მართებული საბჭოთა კავშირში „განკულაკების“ პოლიტიკის შესახებ?**

ა) ციმბირში ასახლებდნენ თავად-აზნაურებს, რომლებიც საბჭოთა კავშირში კლასობრივ მტრებად მიიჩნეოდნენ;

ბ) რეპრესიები შეეხო შეძლებულ გლეხებს, რომლებიც ეწინააღმდეგებოდნენ კოლექტივიზაციას;

გ) სასულიერო პირებს, რომლებიც კომუნისტურ იდეოლოგიას აკრიტიკებდნენ დევნიდნენ;

დ) კოლმეურნეობიდან რიცხავდნენ მშრომელებს, ვინც ვერ ასრულებდნენ ხუთწლედის გეგმას.

(1) **34. რა საკითხს ეხებოდა 1938 წლის მიუნხენის შეთანხმება?**

ა) ერთა ლიგიდან გერმანიის გასვლას;

ბ) საბჭოთა კავშირთან ურთიერთობების ნორმალიზაციას;

გ) დანციგის თავისუფალი პორტის გერმანიისთვის გადაცემას;

დ) ჩეხოსლოვაკიისადმი გერმანიის ტერიტორიული პრეტენზიების დაკმაყოფილებას.

(1) **35. რომელმა სახელმწიფომ გამოაცხადა ოფიციალურად ნეიტრალიტეტი მეორე მსოფლიო ომის დროს?**

ა) უნგრეთმა;

ბ) ავსტრიამ;

გ) რუმინეთმა;

დ) ესპანეთმა.

ინსტრუქცია დავალებისათვის № 36.

დავალებაში მოცემულია გარკვეული ეპოქის ისტორიული რუკა. უპასუხეთ დასმულ კითხვებს, ხოლო პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 6.

რუკა და კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდებზე



კითხვები იხილეთ

შემდეგ გვერდზე

(1) 36.1. ვისი ლაშქრობები არის ასახული რუკაზე ლურჯი ფერის ისრებით?

ა) თემურ ლენგის;

ბ) ჯალალ ად-დინის;

გ) ჩინგიზ ყაენის;

დ) ალფ-არსლანის.

(1) **36.2. რუკის მიხედვით, რომელი ინფორმაციაა მართებული საქართველოში განვითარებული მოვლენების შესახებ?**

ა) საქართველოში ლურჯი ისრებით აღნიშნული ჯარი ორჯერ შემოიჭრა და მეორე შემოსევისას ქალაქი ცხუმი დაიკავა;

ბ) ლურჯი ისრებით აღნიშნულმა ჯარმა რამდენჯერმე დალაშქრა საქართველო, გაიმარჯვა ბრძოლებში და აიღო ციხესიმაგრეები;

გ) თორთომთან გამართულ ბრძოლაში საქართველოს ლაშქარი დამარცხდა, თუმცა მომდევნო წელს ლურჯი ისრებით აღნიშნულმა ჯარმა ბირთვისის ციხესიმაგრის აღება მაინც ვერ შეძლო;

დ) დასავლეთ საქართველოს ლურჯი ისრებით აღნიშნული ჯარი შემოესია და ზღვისპირა ტერიტორიები დაარბია, თუმცა აღმოსავლეთ საქართველოს თავდასხმები არ შეხებია.

(1) **36.3. რუკის მიხედვით, რომელი სახელმწიფო დალაშქრა ლურჯი ისრებით აღნიშნულმა ჯარმა?**

ა) რუმის სასულთნო;

ბ) ღაზნევიანთა სასულთნო;

გ) ბიზანტიის იმპერია;

დ) ოსმალეთის იმპერია.

(1) **36.4. რუკის მიხედვით, ქრისტიანთა მიერ კონტროლირებადი რომელი ქალაქი აიღო ლურჯი ისრებით აღნიშნულმა ჯარმა, ალყის შემდეგ?**

ა) ალეპო;

ბ) დამასკო;

გ) სმირნა;

დ) იერუსალიმი.

(1) **36.5. რუკის მიხედვით, რომელი ინფორმაციაა მართებული ლურჯი და მწვანე ისრებით აღნიშნული ჯარების დაპირისპირების შესახებ?**

ა) მწვანე ისრებით აღნიშნული ჯარი დამარცხდა და თავი ქალაქ კონსტანტინოპოლს შეაფარა;

ბ) ლურჯი ისრებით აღნიშნულმა ჯარმა გაიმარჯვა და მცირე აზიაში მდებარე ტერიტორიები დაარბია;

გ) ბრძოლაში მიღწეული წარმატების შემდეგ ლურჯი ისრებით აღნიშნული ჯარი ევროპაში შეიჭრა და ბალკანეთის ნახევარკუნძული დალაშქრა;

დ) მცირე აზიაში მწვანე ისრებით აღნიშნული ჯარის წინააღმდეგობის დაძლევის შემდეგ ლურჯი ისრებით აღნიშნულმა ჯარმა ქალაქ როდოსის აღება სცადა.

(1) 36.6. ევროპის კონტინენტზე გამართული რომელი ბრძოლა არის ასახული რუკაზე?

ა) კალკას;

ბ) ჩილდირის;

გ) ნიკოპოლის;

დ) მანასკერტის.

ინსტრუქცია დავალებებისათვის № 37.

ყურადღებით წაიკითხეთ დავალება და უპასუხეთ დასმულ კითხვებს.

37.1 კითხვაზე უპასუხეთ კონკრეტულად მოთხოვნილი მიზეზი ან შედეგი. ზოგადი ხასიათის მიზეზისა და შედეგის დასახელება არ შეფასდება. ამასთანავე, პასუხი არ უნდა შეიცავდეს ფაქტობრივ შეცდომას.

37.2 და 37.3 დავალებები შეფასდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პასუხებს ახლავს ლოგიკური არგუმენტები, რომლებიც არ შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას. მხოლოდ დასახელება, არგუმენტის გარეშე, არ ფასდება.

37.4 დავალება არ შეფასდება შემდეგ შემთხვევებში: ა) მოტანილია მხოლოდ ანალოგია და არ არის დასასაბუთებლად მოტანილი არგუმენტები; ბ) მოტანილია არგუმენტები ანალოგიის დასასაბუთებლად, მაგრამ არ არის დასახელებული თავად ანალოგია; გ) დასახელებული ანალოგია და დასასაბუთებლად მოტანილი არგუმენტები ურთიერთშეუსაბამოა.

დავალების მაქსიმალური ქულაა 5.

დავალება 37.

ძვ. წ. I საუკუნეში რომის რესპუბლიკაში ერთმანეთს დაუპირისპირდნენ პომპეუსი და კეისარი.

კითხვები:

(1) **37.1.** დაასახელეთ ამ დაპირისპირების ერთი კონკრეტული პოლიტიკური შედეგი.

(1) **37.2.** რომის რესპუბლიკის მოქალაქეთა რომელი ჯგუფისთვის იყო ეს დაპირისპირება დადებითი შედეგის მომტანი? აუცილებლად მოიტანეთ არგუმენტი თქვენი მოსაზრების განსამტკიცებლად.

(1) **37.3.** რომის რესპუბლიკის მოქალაქეთა რომელი ჯგუფისთვის იყო ეს დაპირისპირება უარყოფითი შედეგის მომტანი? აუცილებლად მოიტანეთ არგუმენტი თქვენი მოსაზრების განსამტკიცებლად.

(2) **37.4.** დაასახელეთ ანალოგიური მოვლენა რომის რესპუბლიკის ისტორიიდან. აუცილებლად მოიტანეთ ორი არგუმენტი ამ ანალოგიის დასადასტურებლად.

ინსტრუქცია დავალებისათვის №38.

ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოყვანილი ისტორიული დოკუმენტი, გაიაზრეთ ტექსტი და უპასუხეთ კითხვებს. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 14.

ისტორიული დოკუმენტი და კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდებზე

1812 წლის აჯანყება

ხალხის უკმაყოფილების მიზეზები 1812 წელს მეტი იყო, ვიდრე XIX საუკუნის დამდეგს. რუსეთის არმიის რიცხვი იზრდებოდა და შესაბამისად გლეხობაზე დაკისრებული ტვირთი უფრო მძიმდებოდა. აუტანელი იყო მოსახლეობისათვის სასურსათო გადასახადი, პურის ჩაბარება-გაყიდვა. რუსეთის მთავრობით უკმაყოფილო იყვნენ ქართველი თავადებიც.

1812 წლის 31 იანვარს ახმეტელებმა, რომლებსაც მეზობელი სოფლების გლეხებიც შეუერთდნენ, საეგზეკუციო რაზმი განდევნეს. აჯანყება ელვის სისწრაფით გავრცელდა და მთელ კახეთს მოედო. აშკარად ჩანდა, რომ აჯანყებულებს გამოცდილი ხელმძღვანელობა ჰყავდათ და კარგად შედგენილი გეგმაც გააჩნდათ. აჯანყებულებმა ერთდროული თავდასხმებით ალყა შემოარტყეს განცალკევებულ საოკუპაციო რაზმებს და დაამარცხეს.

ფშავ-ხევსურეთიც აჯანყდა. 10 თებერვალს 1000 კაცისაგან შემდგარი ფშავ-ხევსურ-თიანეთელების რაზმი არაგვზე, სამხედრო გზის რაიონში გავიდა. აჯანყებულებმა საგუშაგოები აიღეს და ანანურს ალყა შემოარტყეს.

თებერვლიდან რუსთა ჯარების სარდლობა აჯანყებულთა წინააღმდეგ უკვე საერთო შეტევაზე გადავიდა. 10 მარტს აჯანყების პირველი ეტაპი დასრულდა. კახელებმა მთავრობას ტყვე რუსი ჯარისკაცები დაუბრუნეს, მთავარმართებელი აჯანყებულთა მიმართ დროებითი დათმობის გზას დაადგა. კახეთში კაპიტან-ისპრავნიკის თანამდებობა გააუქმეს და მის ნაცვლად მოურავობა აღადგინეს.

ტექსტის გაგრძელება იხილეთ შემდეგ გვერდზე

გადასვლა კითხვებზე: 1 2 3 4 5 6 7 8 9 10

1812 წლის ზაფხულში ნაპოლეონის არმია რუსეთში შეიჭრა. არ იყო დასრულებული ომი ირანთანაც, რომელიც ცდილობდა ესარგებლა რუსეთის კრიტიკული მომენტით და ძველი ბატონობის აღდგენას ლამობდა. ასეთ ვითარებაში, 1812 წლის შემოდგომაზე, კახეთში კვლავ იფეთქა აჯანყებამ, რომელსაც ამჯერად ალექსანდრე ბატონიშვილი ხელმძღვანელობდა.

რუსთა ჯარს სამხედრო წყობითა და იარაღით დიდი უპირატესობა ჰქონდა აჯანყებულებთან შედარებით. ბატონიშვილმა ეს კარგად იცოდა და ამიტომ მოწინააღმდეგეს პარტიზანული ომი გაუმართა. აჯანყებულთა შემდგომი წარმატება იმით აღინიშნა, რომ ქართველთა 6-ათასიანმა ლაშქარმა სამხედრო გზა დაიკავა. მეამბოხეთა ხელში აღმოჩნდა ხევიც, მაგრამ მთავრობის მიერ თავის დროზე მიღებულმა ღონისძიებებმა იხსნა რუსთა სარდლობა მარცხისაგან. სამხედრო გზა ისევ დაიბრუნეს და ჩრდილო კავკასიიდან დამხმარე ჯარიც მოვიდა.

კახეთში ომი გრძელდებოდა. 10 ოქტომბერს შილდასთან სასტიკ ბრძოლაში, რომელმაც 7 საათს გასტანა, ალექსანდრეს ლაშქარმა უკან დაიხია. გენერალმა დიმიტრი ორბელიანმა გადაბუგა სოფლები შილდა და საბუე, სადაც ბაღ-ვენახები მთლიანად აკაფეს.

რუსეთსა და სპარსეთს შორის საზავო მოლაპარაკება უშედეგოდ დამთავრდა. აბას-მირზამ ალექსანდრე ბატონიშვილთან შესაერთებლად და რუსთა განსადევნად თბილისზე გალაშქრება გადაწყვიტა, მაგრამ რუსებმა დაასწრეს და დაამარცხეს.

გადასვლა კითხვებზე: 1 2 3 4 5 6 7 8 9 10

ტექსტის გაგრძელება იხილეთ შემდეგ გვერდზე

მთავრობის გაერთიანებულ ჯარებთან ბრძოლაში ალექსანდრე დამარცხდა და მისი ჯარი დაიშალა. ალექსანდრე თავისი მხლებლებითურთ შატილში ავიდა. მარცხმა ალექსანდრე ბატონიშვილი სულიერად და ფიზიკურად ვერ გასტეხა. ხევსურეთიდან იგი ბრძოლას განაგრძობდა და კავკასიის მთიელებს რუსთა ბატონობის წინააღმდეგ გადამწყვეტ ომში მოუწოდებდა.

გადასვლა კითხვებზე: 1 2 3 4 5 6 7 8 9 10

1813 წლის მაისში, პატარა ხევსურეთს 3 ათასი მეომრისაგან შემდგარი ჯარი შეუსიეს. შატილის მისადგომებთან მოხდა განუმეორებელი უთანასწორო ბრძოლა მცირერიცხოვან ხევსურებსა და კარგად შეიარაღებულ მრავალრიცხოვან რეგულარულ ჯარებს შორის. დამსჯელმა ჯარმა ხევსურთა 20 სოფელი, მათ შორის შატილი, დაანგრია.

აჯანყების დამარცხების შემდეგ აჯანყების დროს აღდგენილი მოურავის ნაცვლად სოფელში მეთვალყურე, ზედამხედველი ინიშნებოდა.

(საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტომი 4, თბილსი, 1973 წელი)

კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდზე

კითხვები:

(1) **38.1.** ისტორიული კონტექსტის გათვალისწინებით, მოიტანეთ ერთი არგუმენტი, თუ რატომ შეიძლება ყოფილიყვნენ რუსეთის მთავრობით უკმაყოფილო ქართველი თავადებიც?

(1) **38.2.** დოკუმენტის მიხედვით, რა სამხედრო წარმატებას მიაღწიეს აჯანყებულებმა სამხედრო გზის მიდამოებში აჯანყების პირველ ეტაპზე?

(1) **38.3.** დოკუმენტის მიხედვით, რა ეწოდებოდათ კახეთში აჯანყებამდე დანიშნულ რუსეთის იმპერიის სახელმწიფო მოხელეებს?

(1) **38.4.** დოკუმენტში არსებული რა ინფორმაცია ადასტურებს, რომ ქართველებიც მონაწილეობდნენ აჯანყებულთა წინააღმდეგ ბრძოლაში?

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის 1-ლ გვერდზე

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის მე-2 გვერდზე

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის მე-3 გვერდზე

(1) **38.5.** დოკუმენტში არსებული ინფორმაციიდან გამომდინარე და ისტორიული კონტექსტის გათვალისწინებით, რატომ იყო მნიშვნელოვანი რუსეთის ხელისუფლებისათვის სამხედრო გზა?

(1) **38.6.** დოკუმენტის მიხედვით, კონკრეტულად როგორ აისახა აჯანყების საბოლოო მარცხი კახეთში რუსეთის მიერ შემოღებულ მმართველობაზე?

(2) **38.7.** დოკუმენტის მიხედვით, სრულად ჩამოთვალეთ რა საგარეო საფრთხეები ჰქონდა რუსეთის იმპერიას აჯანყების მეორე ეტაპის დაწყების წინ?

(2) **38.8.** დოკუმენტის მიხედვით, ბრძოლის რა ტაქტიკა აირჩია ალექსანდრე ბატონიშვილმა და რატომ?

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის 1-ლ გვერდზე
გადასვლა დოკუმენტის ტექსტის მე-2 გვერდზე
გადასვლა დოკუმენტის ტექსტის მე-3 გვერდზე

(2) **38.9.** დოკუმენტის მიხედვით, ვისი დახმარების იმედი შეიძლება ჰქონოდა ალექსანდრე ბატონიშვილს აბას-მირზას გარდა და ისტორიული კონტექსტის გათვალისწინებით, თქვენი აზრით, რამდენად რეალური იყო ეს იმედი? მოიტანეთ კონკრეტული არგუმენტი საკუთარი მოსაზრების განსამტკიცებლად.

(2) **38.10.** დოკუმენტის მიხედვით, სად გაიმართა ბოლო ბრძოლა და რა კონკრეტული შედეგი მოჰყვა მას?

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის 1-ლ გვერდზე
გადასვლა დოკუმენტის ტექსტის მე-2 გვერდზე
გადასვლა დოკუმენტის ტექსტის მე-3 გვერდზე